

პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“ დებულება

1. „სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის საბიუჯეტო პროცესის ნაწილი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის პროცესში აქტიურად ჩაერთონ მოქალაქეები, მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების საშუალებით. პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“ განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხებს, რომლის ხარჯვის ინიციატივასაც წარდგენილი პროექტის შესაბამისად მუნიციპალიტეტს სთავაზობს ადგილობრივი მოსახლეობა.
2. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტი საჩხერის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დაიწყება კორბოულის წარმომადგენლობაში.

მუხლი 1.

ზონებად დაყოფა

1. კორბოულის წარმომადგენლობა იყოფა სამ ზონად:
 - ა) I – ზონა კორბოული;
 - ბ) II – ზონა ნიგვზარა;
 - გ) III – ზონა შომახეთი.
2. 2017 წლისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტის ღირებულება განისაზღვრება 100000(ასი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც თითოეულ ზონისათვის განაწილდება შემდეგნაირად:
 - ა) I_ზონა 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
 - ბ) II_ზონა 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;
 - გ) III_ზონა 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.
3. ბიუჯეტის საბოლოო განსაზღვრის ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია პროექტის რეალური სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე განხორციელდეს თანხის რაოდენობის ცვლილება (აღნიშნულის შესახებ ეცნობოს ინიციატივის ავტორს), ამ პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში.

მუხლი 2.

კოორდინატორების არჩევა

1. მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობისათვის, კორბოულის წარმომადგენლობაში გამოიყოფა სამი კოორდინატორი (გამგებლის წარმომადგენელი და მისი თანამშრომლები) გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. კოორდინატორები მუნიციპალიტეტთან ურთიერთკოორდინაციით განახორციელებენ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას, კერძოდ:
 - ა) უზრუნველყოფენ მოსახლეობის ინფორმირებას პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში;
 - ბ) ავრცელებენ მუნიციპალიტეტის მიერ დამზადებულ ბუკლეტებსა და პროექტების ფორმებს;
 - გ) იზარებენ და აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნალში მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ პროექტებს;
 - დ) წარმოდგენილი პროექტების დედნებს აწვდიან „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს უფლებამოსილ პირს და აფორმებენ შესაბამის მიღება ჩაბარების აქტს.

მუხლი 3.

„სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს დაკომპლექტება და მისი ფუნქცია მოვალეობები

1. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“ კომპლექტდება საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისა და კორპორულის თემის მაჟორიტარი დეპუტატისაგან. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს შექმნის საფუძველია გამგებლის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და მისი მუშაობა განისაზღვრება შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
2. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს ძირითადი ფუნქცია მოვალეობაა:
 - ა) განიხილოს მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტები;
 - ბ) საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს პროექტის ავტორს დახმარება წარმოსადგენი პროექტის განაცხადის სწორად შევსებაში;
 - გ) მოახდინოს მათი შესწავლა სამართლებრივი, ტექნიკური, ფინანსური და სხვა კუთხით;
 - დ) დაახარისხოს და მოახდინოს წარმოდგენილი პროექტების კლასიფიკაცია (მაგალითად : ინფრასტრუქტურული; განათლების; სპორტის; კულტურის და სხვა მიმართულებით);
 - ე) არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა ჯგუფი ვალდებულია „სამოქალაქო საბჭო“-ს მიაწოდოს შემოსული პროექტები შესაბამისი დასკვნით თითოეულ შემოსულ პროექტზე.

მუხლი 4.

„სამოქალაქო საბჭო“-ს შექმნა და მისი ძირითადი ფუნქციები

1. „სამოქალაქო საბჭო“ დაკომპლექტდება კორპორულის წარმომადგენლობაში შემავალი სამი ზონის წარმომადგენლისაგან, რომელთაც დაასახელებს სოფლის მოსახლეობა და მრჩეველთა საბჭოს წევრისგან აღნიშნულ წარმომადგენლობაში (გამგებლის ბრძანებით), საბჭოს მუშაობა განისაზღვრება გამგებლის მიერ დამტკიცებული დებულებით.
2. სამოქალაქო საბჭოს წევრი:
 - ა) ეხმარება კოორდინატორს ინფორმაციის გავრცელებაში;
 - ბ) უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია შემოსული პროექტების შესახებ;
 - გ) აქტიურად თანამშრომლობს კოორდინატორებთან და „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-თან;
 - დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს გამარჯვებული პროექტების განხორციელების პროცესში.
3. „სამოქალაქო საბჭო“ წევრთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს გამოყოფილი თანხის ფარგლებში არა უგვიანეს 30 ოქტომბრისა, საბჭოს ყველა წევრის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია ზონებს შორის მოხდეს გამოყოფილი თანხის გადანაწილება წარმოდგენილი პროექტების აქტუალურობიდან გამომდინარე.

მუხლი 5.

„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში პროექტების მიღება და განხილვა.

1. პროექტის წარმოდგენა „სამოქალაქო საბჭო“-ში შეუძლია ზონაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს და ასევე 16 წლის ახალგაზრდას მეურვის თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ახლდეს აღნიშნულ ზონაში მაცხოვრებელი მინიმუმ 10 მოქალაქის ხელმოწერა.
2. პროექტი არ უნდა გადიოდეს თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებიდან, უნდა იყოს საზოგადოების საჭიროებებზე მიმართული, გაწერილი უნდა იყოს მისი ღირებულება და დასაბუთებული თუ რა შედეგს მოუტანს ის კონკრეტულ დასახლებას ან სოფელს, ასევე აუცილებელია პროექტი შეიცავდეს ინფორმაციას მოსარგებლე მაცხოვრებლების რაოდენობის შესახებ და განხილული იქნეს გენდერულ ჭრილში თუ ეს შესაძლებელია.
3. პროექტის მოწოდება შესაძლებელი იქნება:

ა) ელექტრონულ ფოსტაზე _ samoqalaqobiujeti@sachkhere.gov.ge

ბ) კოორდინატორის მეშვეობით.

4. პროექტების მიღება შესაძლებელი იქნება 2017 წლის 1 მაისიდან 30 ივლისის ჩათვლით, ამ პერიოდში შესაძლებელია პროექტის ავტორმა შესწორება შეიტანოს წარმოდგენილ პროექტში. პროექტის შესახებ „სამოქალაქო საბჭო“-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება ავტორს.
5. პროექტის მსველელობა და მიმდინარეობა მუდმივად გაშუქდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, ასევე ინფორმაცია გადაეცემათ კოორდინატორებს, რომლებიც ვალდებული იქნებიან მოახდინონ მოსახლეობის ინფორმირება პროექტის მსველეობის და შედეგების თაობაზე.

მუხლი 6.

გამარჯვებული პროექტების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვა

1. „სამოქალაქო საბჭო“-ს მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც თავის მხრივ ახდენს მოსახლეობის ინფორმირებას გამარჯვებული პროექტების შესახებ, როგორც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ასევე ზონის მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალებით და ავალებს საფინანსო უწყებას გამარჯვებულმა პროექტებმა ასახვა პოვონ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება არა უგვიანეს 25 ნოემბრისა.
2. „სამოქალაქო საბჭო“-ს წევრები და გამარჯვებული პროექტის ავტორები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოში ბიუჯეტის განხილვისას დაიცვან მათ მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები.